9.2. მყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ან/და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად და დათქმულ ვადაში შეუსრულებლობის საფუძვლით გამყიდველის მიერ ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მხარეებს შორის აღდგება პირვანდელი მდგომარეობა. ამასთან, ასეთი გარემოების დადგომის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია გამყიდველს გადაუხადოს ხელშეკრულების მოშლის საკომისიო, რომელიც შეადგენს ნასყიდობის საგნის ღირებულების 10%–ს. ყოველგვარი გაუგებრობისაგან თავის აცილების მიზნით, ამ მუხლით გათვალისწინებული წესები არ მოქმედებს იმ შემთხვევებზე, როდესაც მყიდველი ხელშეკრულებას ცალმხრივად მოშლის იმ მიზეზით, თუ მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად და დათქმულ ვადაში შეუსრულებლობა გამოწვეულია გამყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით ან/და ისეთი მდგომარეობის შექმნით, რომელიც საფრთხეს უქმნის გამყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

9.3. გამყიდველი უფლებამოსილია მყიდველის მიერ სრულად ან ნაწილობრივ გადახდილი უძრავი ქონების ღირებულება დაუბრუნოს მყიდველს დაუყოვნებლივ მხოლოდ მას შემდეგ, რაც განხორციელდება უძრავი ქონების რეალიზაცია ნებისმიერ სხვა მესამე პირ(ებ)ზე.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი ცალმხრივად მოშლის ხელშეკრულებას ან/და დაარღვევს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და გამყიდველის მიერ ვერ მოხერხდება პირველადი მდგომარეობის აღდგენა, გამყიდველის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე მყიდველი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მოაწეროს ხელი ხელშეკრულების ვადამდე მოშლისა და უძრავი ქონების საკუთრების უფლების გამყიდველისათვის დაბრუნების შეთანხმებას. მხარეები იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.5. ამასთან, მხარე პასუხს აგებს ხელშეკრულებით და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მეორე მხარისათვის მიყენებულ ნებისმიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ ზიანზე (ზარალზე), ხოლო ზარალის ანაზღაურება მხარეს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან (გადახდისაგან).

9.6. ფორს-მაჟორის მოქმედების განმავლობაში არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

9.7. მხარე, რომელსაც დაუდგა ფორს-მაჟორი, ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის და მისი/მათი სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

9.8. ფორს–მაჟორის მოქმედების პერიოდში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება გადაიწევს ფორს–მაჟორის მოქმედების ვადით, თუ თავად მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

10. კომუნიკაცია მხარეთა შორის

10.1. მხარეთა შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, ან გამყიდველის მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.

10.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.).

10.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.

11. პრეტენზიები და დავები

11.1 ხელშეკრულებიდან ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდან გამომდინარე პრეტენზიები მხარეებმა შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე მხარეს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

11.2 ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში,

მხარეები მიმართავენ სასამართლოს. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად,შესაბამისი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში.

12. ხელშეკრულების მოქმედება და ცვლილებები და დამატებები

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

12.2. ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:

ა) გამყიდველის მიერ, თუ მყიდველი უხეშად არღვევს ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით განსაზღვრულ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, განცხადებებს და გარანტიებს, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას), რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს გამყიდველს. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ მყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, თუ ასეთი დარღვევა არ გამოსწორდება გამყიდველის მიერ აღნიშნულზე წერილობითი გაფრთხილების გაგზავნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, გამყიდველი გაუგზავნის მყიდველს წერილობით შეტყობინებას წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე გაუქმების შესახებ. ხელშეკრულება გაუქმებულად ჩაითვლება მყიდველისათვის ამგვარი შეტყობინების ჩაბარებისთანავე.

ბ) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

12.3. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმებით.

12.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს ხელშეკრულების დანართ(ებ)ს და მის განუყოფელ ნაწილს.

13. მყიდველის მიერ საკუთრების უფლების გადაცემა

13.1. უძრავი ქონების ღირებულების სრულად დაფარვამდე მყიდველს უფლება არა აქვს გამყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირ(ებ)ს გადასცეს ან გადააბაროს მასზე ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის, მათი დანართ(ებ)ით) ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. გამყიდველის უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ მყიდველმა პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს გამყიდველის უფლებას მიიღოს მესამე პირ(ებ)ისაგან შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა თანახმაა თუ არა მყიდველი.

14. დასკვნითი პირობები

14.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

14.2. მყიდველი საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულების რეგისტრაციას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

14.3. ხელშეკრულება ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ი შედგნილია ქართულ ენაზე. თუ რომელიმე მხარემ არ იცის ქართული ენა ან/და მისი დამწერლობა, ან მხარეებს ან ერთ-ერთ მხარეს სურს, მაშინ ხელშეკრულება ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ი შესაძლოა შედგეს და დაიდოს ასევე მხარეთათვის მისაღებ სხვა ენაზეც. ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს. აღნიშნული ნორმები ვრცელდება, ასევე, მხარეთა შორის ურთიერთობაზე ან/და ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის, თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შედგენასა თუ ინტერპრეტაციაზე.

14.4. ხელშეკრულების თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

მხარეთა ხელმოწერები

გამყიდველი

მყიდველი

უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება N 001/12

თბილისი 16 ივლისი 2021 წელი

1. ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი ქ.N22 საკადასტრო კოდი : N 01.10.06.006.291
2. ნასყიდობის საგანი : საცხოვრებელი კომპლექსის მე 4- სართული, ფართი 35.38 კვ.მ, (ბინა # 406) ღირებულება 23900 აშშ დოლარი.

მყიდველი ხატია ქელეხსაევის მიერ გამყიდველისათვის ნასყიდობის საფასურის გადახდა მოხდება გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის შესაბამისი კურსით ანგარიშზე:სს„თიბისი ბანკი, ა/ა
GE78TB7476136080100008 (GEL)
GE65TB7476136150100001 (USD)
შემდეგი პერიოდულობით:

2021 წლის 31 აგვისტომდე	500$
2021 წლის 30 სექტემბრამდე	500$
2021 წლის 31 ოქტომბრამდე	500$
2021 წლის 30 ნოემბრამდე	500$
2021 წლის 31 დეკემბრამდე	500$
2022 წლის 31 იანვრამდე	500$
2022 წლის 28 თებერვლამდე	500$
2022 წლის 31 მარტამდე	500$
2022 წლის 30 აპრილამდე	500$
2022 წლის 31 მაისამდე	19400$

3. „ა“დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს და მასზე სრულად ვრცელდება ხელშეკრულების მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება.
4. „ა“დანართი არ შეიცავს რაიმე დამატებით წერილობით ან სიტყვიერ შეთანხმებებს.
5. „ა“დანართის თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.
6. მხარეთა ხელმოწერები

გამყიდველი /_____/ მყიდველი /_____/

მყიდველისხელმოწერა /_____/

უძრავი ქონების

ნასყიდობისა და წინარე ნასყიდობის შესახებ

(უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემისა და სანაცვლოდ

ახლადაშენებული უძრავი ქონების (კომერციული ფართი) გადაცემის შესახებ)

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

თბილისი 14 აგვისტო, 2020

პირველმა მხარემ განაცხადა, რომ სურს თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საკადასტრო კოდით : 01.10.06.006.291 რომლის მახასიათებლებია : არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი ფართით 1770 მ/2 მდებარე ქ.თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, ფარნავაზ მეფის გამზირი, I და II მიკრორაიონის მიმდებარედ, მიყიდოს მეორე მხარეს, ხოლო მეორე მხარემ განაცხადა, რომ სურს ამავე უძრავი ქონების ყიდვა. ამასთანავე, პირველმა მხარემ განაცხადა, რომ სურს მეორე მხარისაგან იყიდოს მეორე მხარისათვის მიყიდულ მიწის ნაკვეთზე აშენებული ფართი, ხოლო მეორე მხარემ განაცხადა, რომ თანახმაა, შესყიდულ მიწის ნაკვეთზე ააშენოს შენობა-ნაგებობა და ამ შენობა-ნაგებობის ნაწილი – ინდივიდუალიზებული ფართი მიჰყიდოს პირველ მხარეს.

მუხლი 1. მხარეებისა და ტერმინების შესახებ

1.წინამდებარე გარიგების მხარეები არიან:

პირველი მხარე გამყიდველი:

- შპს "ეკო დეველოპმენტი" (ს/ნ 405231208, რეგისტრირებული ქ. თბილისი ვაკე საბურთალოს რაიონი დასახლება დიდი დიღომი, ფარნავაზ მეფის გამზირი, I და II მიკრორაიონის მიმდებარედ) წარმოდგენილი მისი დირექტორით ანა ომიაძის სახით (პ/ნ 01009017329)

მეორე მხარე მყიდველი:

შპს „ნიუ ბრენდ" (ს/ნ 400170907, რეგისტრირებული ქ. თბილისი ხუდადოვის 83) წარმოდგენილი მისი დირექტორით ლევან აგლაძის სახით (პ/ნ 01030017278)

მუხლი 2. ტერმინების შესახებ

1. წინამდებარე აქტში გამოყენებული შემდეგი ტერმინები აღნიშნავს:

ა) „უძრავი ქონება": ქ.თბილისი დასახლება დიდი დიღომი, ფარნავაზ მეფის გამზირი, I და II მიკრორაიონის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი 01.10.06.006.291) მდებარე 1770 მ/2 მიწის ნაკვეთი

ბ) „კომერციული ფართი": შენობა-ნაგებობის იზოლირებული ინდივიდუალიზებული ნაწილი, რომელიც მეორე მხარემ უნდა ააშენოს და წინამდებარე აქტით დადგენილი წესითა და პირობებით საკუთრების უფლებით უნდა გადასცეს პირველ მხარეს.

გ) „მიწის ნაკვეთი": ტერიტორია, სადაც უნდა აშენდეს შენობა-ნაგებობა.

დ) „შენობა-ნაგებობა" (კორპუსი): რკინა-ბეტონის კაპიტალური ნაგებობა, რომელიც უნდა ააშენოს მეორე მხარემ და რომლის იზოლირებული ინდივიდუალიზებული ნაწილი უნდა გადასცეს პირველ მხარეს.

ე) „მესამე პირი": ნებისმიერი ფიზიკური და/ან იურიდიული პირი, გარდა მხარეებისა.

ვ) „გონივრული ვადა": დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში ბრალეული გაჭიანურების გარეშე ჯეროვანი და კეთილსინდისიერი ძალისხმევით შესაძლებელია ამ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულების (მოქმედების) შესრულება.

ზ) „სტანდარტი": მოთხოვნების ერთობლიობა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მეორე მხარის მიერ შესრულებული არასაცხოვრებელი ფართი და რომელიც დადგენილია სახელმწიფოს მიერ.

თ) „დროული გაფრთხილება": წერილობითი შეტყობინება ამ შეტყობინების ვალდებულების წარმოშობიდან 48 (ორმოცდარვა) საათის განმავლობაში.

2. წინამდებარე აქტში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი მნიშვნელობა.

მუხლი 3. ხელშეკრულების დადების მოტივაციისა და მხარეთა მიზნების შესახებ

1. პირველ მხარეს საკუთრების უფლებით ეკუთვნის მიწის ნაკვეთი, რომლის ღირებულება მხარეთა განცხადებით შეადგენს 426 000 (ოთხას ოცდაექვსი ათასი) აშშ დოლარს, გამომდინარე იმ ფაქტორიდან რომ მიწის ნაკვეთის მახასიათებლებიდან შესაძლებელია მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის (კორპუსის) აშენებისა და ამ შენობა-ნაგებობის (კორპუსის) ინდივიდუალიზებული (იზოლირებული) ნაწილის –

კომერციული ფართისა და 176 000 (ას სამოცდათექვსმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტის ეროვნულ ვალუტაში პირველი მხარისათვის გადაცემის შესაძლებლობას ისე, რომ პირველი მხარისათვის გადაცემული ფართი და ფულადი თანხა იქნება მიწის ნაკვეთის ღირებულების შესატყვისი, შესაბამისად პირველი და მეორე მხარის ინტერესები დაკმაყოფილებული იქნება სრულად.

2. მეორე მხარეს მიაჩნია, რომ მის ბიზნეს-ინტერესებს სრულად შეესატყვისება პირველი მხარის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის (კორპუსის) აშენება და ამ შენობა-ნაგებობის (კორპუსის) ინდივიდუალიზებული (იზოლირებული) ნაწილის – კომერციული ფართისა და 176 000 (ასსამოცდათექვსმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტის ეროვნულ ვალუტაში პირველი მხარისათვის გადაცემა (წინამდებარე ხელშეკრულების დადების თარიღისათვის მეორე მხარეს პირველი მხარისათვის ავანსის სახით გადახდილი აქვს მიწის ნასყიდობის ღირებულების ნაწილი 15 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში (თხუთმეტი ათასი) ისე, რომ პირველი მხარისათვის გადაცემული ფართი და ფულადი თანხა 161 000 (ასსამოცდაერთი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში იქნება პირველი მხარის ინტერესების შესატყვისი.

3. მეორე მხარე, მყიდველი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდზე აღნიშნული ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან 10 (ათი) დღის ვადაში წარმოადგინოს უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტია 250 000 (ორასორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარზე, არანაკლებ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 18 თვის ვადით, გარანტიის შემცირების გარეშე.

3.1 იმ შემთხვევაში თუ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 17 თვის ვადაში ვერ მოხდება პირველი მხარისთვის ფართის შეთანხმებულ კონდიციაში ჩაბარება, გამყიდველს აქვს უფლება აამოქმედოს საბანკო გარანტია. ამასთან ყოველგვარი ბუნდოვანების გამორიცხვის მიზნით საბანკო გარანტიის ამოქმედება გამყიდველის მხრიდან, არ გამოიწვევს მყიდველისათვის აღნიშნული კომერციული ფართის 325 (სამასოცდახუთი) კვმ-ის გადაცემის ვალდებულების გაუქმებას. კომერციული ფართის გადაცემის პირობა რჩება უცვლელი იმ შემთხვევაშიც, თუ გამყიდველი მყიდველს გადაუხდის 250 000 (ორასორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარს.

3.2 ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში გარანტიის არწარდგენის შემთხვევაში პირველი მხარე იტოვებს უფლებას მეორე მხარის დამატებითი თანხმობის გარეშე ცალმხრივად გააუქმოს აღნიშნული ხელშეკრულება და ნასყიდობის რეგისტრაციის გაუქმების მიზნით ცალმხრივად, მეორე მხარის თანხმობის გარეშე მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

3.3. მეორე მხარე, მყიდველი უფლებამოსილია პირველი მხარის, გამყიდველის დამატებითი წერილობითი თანხმობის საფუძველზე იპოთეკით დატვირთოს მიწის ნაკვეთი, იმ პირობით რომ წარმოადგენს ბანკის მიერ გაცემულ წერილობით პირობას საჯარო რეესტრში განშლის შემდეგ 325 (სამასოცდახუთი) კვმ კომერციულ ფართზე იპოთეკის უპირობოდ მოხსნის შესახებ არაუგვიანეს კომერციული ფართის იპოთეკით დატვირთვიდან 5 სამუშაო დღეში. ამასთან კომერციული ფართის იპოთეკით დატვირთვა მეორე მხარის, მყიდველის სასარგებლოდ არ განიხილება.

3.4 საბანკო გარანტია შეიძლება ამოქმედდეს იმ შემთხვევაში თუ მშენებლობის ნებართვის აღებიდან 12 (თორმეტი) თვეში ვერ მოხდება კონსტრუქციული ნაწილის და კარკასის კონდიციის დასრულება.

3.5 იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 18 (თვრამეტი) თვის პერიოდში მეორე მხარის, მყიდველის მიერ ვერ მოხდება პირველ მხარეზე, გამყიდველზე შეთანხმებული კონდიციით 325 (სამასოცდახუთი) კვმ კომერციული ფართის გადაცემა, ყოველი მომდევნო ვადაგადაცილებული თვე ექვივალენტურია გამოსასყიდი ფასის 14,000 (თოთხმეტი ათასი) დოლარის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში შემცირებისა. ამასთან აღნიშნული პირობა პირველი მხარის, გამყიდველის უფლებამოსილებაა, რომელიც შეიძლება გამყიდველმა განსახღვროს საკუთარი შეხედულებისამებრ და არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას.

4. ამ მუხლის წინა პუნქტებში მითითებული წანამძღვრების გათვალისწინებით მხარეებს შესაძლებლად მიაჩნიათ, ითანამშრომლონ ერთიერთსასარგებლო საწყისებზე ისე, რომ ორმხრივად და გაწონასწორებულად იყოს დაცული ორივე მხარის ინტერესები და სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში სრულად იქნას მიღწეული ორივე მხარის მიზანი: პირველმა მხარემ მიიღოს მისთვის მისაღები პარამეტრების (მახასიათებლების) მქონე კომერციული ფართი და ფულადი თანხა და ამ გზით დაიკმაყოფილოს თავისი კომერციული ინტერესი, ხოლო მეორე მხარემ განახორციელოს ბიზნეს-პროექტი.

მუხლი 4. მხარეთა სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი

1. მხარეთა მიერ გაცხადებული მიზნების მისაღწევად (ამ ხელშეკრულების მესამე მუხლის მესამე პუნქტი) მხარეებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ თავიანთი ურთიერთობის წარმართვა შემდეგი გზით:

ა) პირველი მხარე საკუთრების უფლებით მეორე მხარეს გადასცემს (მიჰიდის) თავის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, ხოლო მეორე მხარე მიიღებს (იყიდის) ამ უძრავ ქონებას საკუთრებაში.

ბ) მეორე მხარე ამ მიწის ნაკვეთზე ააშენებს შენობა-ნაგებობას, რომლის იზოლირებულ ინდივიდუალიზებულ ნაწილსაც საკუთრებაში გადასცემს (მიჰიდის) პირველ მხარეს. ამასთანავე, კომერციულ ფართს ექნება მხარეთა შორის შეთანხმებული ყველა მახასიათებელი (პარამეტრი). ამასთანავე მეორე მხარე ვალდებულია, ნასყიდობის საგანი – მიწის ნაკვეთი გამოიყენოს მხოლოდ მასზე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის (შენობა-ნაგებობის ასაშენებლად).

2. მხარეთა შორის ურთიერთობას აქვს სასყიდლიანი ხასიათი: პირველი მხარე მეორე მხარეს თავის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას საკუთრებაში გადასცემს სასყიდლით; ასევე მეორე მხარე პირველ მხარეს ახლადაშენებულ კომერციულ ფართს გადასცემს სასყიდლით.

3. ამ მუხლის წინა პუნქტიდან გამომდინარე, ვინაიდან ორივე მხარეს ერთმანეთის მიმართ აქვთ ვალდებულებები, მხარეები თანხმდებიან, რომ მოხდება ურთიერთვალდებულებათა სრული ჩათვლა – მხარეთა ვალდებულებები სრულად გაიქვითება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ურთიერთობების მოწესრიგება

1. წინამდებარე ხელშეკრულების მომდევნო მუხლებით დეტალურად წესრიგდება მხარეთა ურთიერთობები იმ დებულებების შესაბამისად, რაც დადგენილია ამ ხელშეკრულების მესამე, მეოთხე და მეხუთე მუხლებით.

მუხლი 6. გარიგების საგნის შესახებ

1. პირველმა მხარემ მეორე მხარეს საკუთრებაში გადასცა – მიჰყიდა უძრავი ქონება, ხოლო მეორე მხარემ საკუთრებაში მიიღო – იყიდა ეს უძრავი ქონება.

2. უძრავი ქონება არის:

ა) პირველი მხარის კუთვნილი შემდეგი მახასიათებლების მქონე მიწის ნაკვეთი:
- ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება;
- ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო;
- დაზუსტებული ფართობი: 1770 კვ.მ.
- ნაკვეთის წინა № 01.10.06.006.257 01.10.06.006.283
- მისამართი: ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, ფარნავაზ მეფის გამზირი, I და II მიკრორაიონის მიმდებარედ
- მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.10.06.006.291

მუხლი 7. უძრავი ქონების უფლებრივი უნაკლობის შესახებ

1. უძრავი ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნის პირველ მხარეს, რაც შემოწმებული და დადასტურებულია შემდეგი დოკუმენტით:
ა) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
2. ამ მუხლის წინა პუნქტში მითითებული დოკუმენტის შესაბამისად, უძრავ ქონებაზე პირველი მხარის საკუთრების უფლება წარმოიშვა მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე:

3. პირველი მხარის განცხადებით:

ა) უძრავი ქონება არ არის სადავო, არ არის აღძრული სარჩელი მესამე პირის მიერ უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სხვა (მფლობელობის, სარგებლობის) უფლების მოპოვების მოთხოვნით.

ბ) არ არსებობს მესამე პირი, რომელსაც დასაბუთებული სამართლებრივი საფუძვლით შეიძლება ჰქონდეს რაიმე პრეტენზია უძრავი ქონების მიმართ.

გ) ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტი ნამდვილია, იგი გაცემულია კანონმდებლობით დადგენილი წესით და იგი ზუსტად ასახავს მესაკუთრის უფლებებსა და მის სამართლებრივ მდგომარეობას.

4. უძრავ ქონებას არ ადევს ყადაღა.

მუხლი 8. უძრავი ქონების გადაცემის შესახებ

1. პირველი მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს უძრავი ქონება გადასცეს მეორე მხარის წერილობითი მოთხოვნიდან 3 (სამი) დღის ვადაში, ხოლო მეორე მხარე ვალდებულია, მიიღოს უძრავი ქონება.
ამ ვადის გადაცილების შემთხვევაში პირველ მხარეს ეკისრება მეორე მხარისათვის ფაქტიურად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

2. პირველი მხარე ვალდებულია, წინამდებარე ხელშეკრულების ამოქმედებიდან სამ სამუშაო დღეში მეორე მხარეს გადასცეს დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება პირველი მხარის მიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების შესრულების, და/ან ამ ვალდებულებების არარსებობის ფაქტები.

3. პირველი მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს გადასცეს ყველა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს უძრავი ქონების გადაცემის მომენტისათვის უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ყველა გადასახდელის (კომუნალური მომსახურების საფასური და სხვა მსგავსი გადასახდელები) დავალიანების არარსებობის ფაქტს.

4. პირველი მხარე ვალდებულია, უძრავი ქონების გადაცემასთან ერთად მეორე მხარეს გადასცეს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია უძრავ ქონებასთან (მათი არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 9. რისკისა და საკუთრების უფლების გადასვლის შესახებ

1. უძრავი ქონების შემთხვევითი დაღუპვის, ან შემთხვევითი დაზიანების რისკი მეორე მხარეზე გადადის უძრავი ქონების მეორე მხარის სახელზე რეგისტრაციის მომენტიდან.

2. უძრავ ქონებაზე მეორე მხარის საკუთრების უფლება წარმოიშობა წინამდებარე აქტის საფუძველზე საჯარო რეესტრში მეორე მხარის რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 10. უძრავი ქონების ნივთობრივი უნაკლობის შესახებ

1. მხარეებმა დაადასტურეს, რომ:

ა) მეორე მხარე ხდება მესაკუთრე მიწის ნაკვეთზე და ყველა იმ მატერიალურ სიკეთეზე

, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქობალისი დასახლება დიდი დიღომი, ფარნავაზ მეფის გამზირი, I და II მიკრორაიონის მიმდებარედ მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.10.06.006.291 და რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პირველი მხარის საკუთრებაა.

უხლი 11. უძრავი ქონების ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლის აღმოჩენის შედეგების შესახებ

1. უძრავი ქონების ნივთობრივი და/ან უფლებრივი ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში სამართლებრივი ურთიერთობა წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 12. მიწის ნაკვეთზე დაშვება

1. პირველი მხარე ვალდებულია, მეორე მხარე დაუშვას მიწის ნაკვეთზე, პირველ მხარეს უფლება არა აქვს ხელი შეუშალოს მიწის ნაკვეთზე მშენებლობას, თუ მეორე მხარე სრულად იცავს სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

მუხლი 13. შენობა-ნაგებობის დანიშნულება

1. შენობა-ნაგებობას ექნება საცხოვრებელი და კომერციული დანიშნულება: მასში განთავსდება საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართი.

მუხლი 14. ვალდებულებები და შესრულების ვადები

1. შენობა-ნაგებობის მშენებლობის (ექსპლოატაციაში შესვლა) დასრულება და მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების ვადა შეადგენს ნასყიდობის საგანზე მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 18 თვეს, მათ შორის რკინა ბეტონის (კარკასი) სამუშაოების დასრულების ვადა 12 თვეს
2. ვადის დარღვევად არ ჩაითვლება მეორე მხარის მიერ წინამდებარე ხელშკრულების 14.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების გადაცდენა, თუ სამშენებლო სამუშაოების შეფერხება გამოწვეული იქნება სახელმწიფო რეგულაციებითა და შეზღუდვებით რაც გამოწვეულია კოვიდ-19 ის პანდემიის ფარგლებში.

მუხლი 15. შენობა-ნაგებობის პროექტის შესახებ

1. პირველი მხარე თანახმაა შემდეგზე:
ა) წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ფართების პირველი მხარისათვის გადაცემამდე შენობა-ნაგებობის პროექტის კორექტირება არ საჭიროებს პირველი მხარის თანხმობას, ხოლო მას შემდეგ, რაც შენობა-ნაგებობის ნაწილი საკუთრებაში გადაეცემა პირველი მხარეს, შენობა-ნაგებობის პროექტის კორექტირება საჭიროებს პირველი მხარის თანხმობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კორექტირება ეხება პირველი მხარისათვის გადაცემული ფართების მოცულობას, ან კონფიგურაციას.
ბ) იმ ფართების მოცულობა, რომელიც პირველმა მხარემ უნდა მიიღონ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, არ გაიზრდება იმ შემთხვევაშიც, თუ გაიზრდება შენობა-ნაგებობის კოეფიციენტი. ასევე, პირველი მხარის ფართი არ შემცირდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემცირდება შენობა-ნაგებობის აშენების კოეფიციენტი.

მუხლი 16. უძრავი ნივთების გადაცემის ვალდებულების შინაარსის შესახებ

1. პირველი მხარისაგან მიღებული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) სანაცვლოდ მეორე მხარე პირველ მხარეს შეუზღუდავ და ვალდებულებებისაგან თავისუფალ საკუთრებაში გადასცემს ამავე მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობა-ნაგებობის ნაწილს - ინდივიდუალიზებულ ფართს (შემდგომში - "ფართი").
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მხარეები წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე დადებენ ნასყიდობის ძირითად ხელშეკრულებას, რომლითაც განისაზღვრება ფართის ზუსტი განთავსება (რომელიც აუცილებელი პირობით მოიცავს პეტრიწის ქუჩის მხარეს სრულ ფასადს ნოლ (მიწის პირა) სართულზე) და კონფიგურაცია დანართის სახით თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას (კომერციული ფართი #1)
3. ფართების ზუსტი მდებარეობის (რომელიც აუცილებელი პირობით მოიცავს პეტრიწის ქუჩის მხარეს სრულ ფასადს ნოლ (მიწის პირა) სართულზე) დაზუსტების და მშენებარე შენობა ნაგებობის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ პირველ მხარეს უფლება აქვს ფართებზე თავისი სამომავლო საკუთრების უფლება დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში.

მუხლი 17. ფართების გადაცემის ვადა

1.პირველი მხარისათვის გადასაცემი ფართები შეთანხმებულ მდგომარეობაში პირველ მხარეს ფაქტობრივ მფლობელობაში უნდა გადაეცეს არაუგვიანეს ნასყიდობის საგანზე მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 17 თვის ვადაში. (არაუგვიანეს 2022 წლის 15 იანვრამდე)
2. იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე უარს აცხადებს პირველი მხარისათვის ფართების გადაცემაზე ან დადგენილ ვადაში ვერ ასრულებს ამ მუხლის I პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას, პირველ მხარეს უფლება აქვს მისაღები ფართის სანაცვლოდ მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია მისაღები ფართის მხარეებს მიერ შეთანხმებული ღირებულებით 250 000 (ორასორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარი
3. ამ მუხლის მე-2 მუხლის საფუძველზე კომპენსაციის მიღებისთანავე მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ითვლება შესრულებულად.

მუხლი 18. პირველი მხარისათვის გადასაცემი კომერციული ფართის მდგომარეობის შესახებ

1. მეორე მხარემ პირველ მხარეს საკუთრებაში უნდა გადასცეს, ხოლო პირველმა მხარემ საკუთრებაში უნდა მიიღოს ფართი – შენობა-ნაგებობის ინდივიდუალიზებული ნაწილი, რომელიც მეორე მხარემ უნდა ააშენოს და მისი მახასიათებლები იქნება:
ა) კომერციული ფართი საერთო ფართი 325 კვ.მ, რომელიც მიყვანილი იქნება შემდეგ მდგომარეობამდე, გარე პერიმეტრი ალუმინის ვიტრაჟებით მოწყობილი, კომუნიკაციები (გაზი, წყალი, კანალიზაცია, ელ. ენერგია მინ. 30 კილოვატი) მიყვანილი ფართამდე, კომუნიკაციები ნართული უნდა იყოს საერთო ქსელში, ჭერის სიმაღლე არანაკლებ 3.6 მეტრი კომერციული ფართი უნდა იყოს სრული ვიტრაჟით პეტრიწის ქუჩის მხრიდან და შესაბამისი პროპორციით ფარნავაზ მეფის ქუჩის მხრიდან, ამასთან შესასვლელი და ფართი უნდა იყოს ნოლ ნიშნულზე, კიბეების გარეშე. ფაროის

განლაგება მოცემულია დანართის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. პირველი მხარისათვის კომერციული ფართის გადაცემა მოხდება უძრავი ქონების გადაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით – ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადებით.

მუხლი 19. პასუხისმგებლობის შესახებ

1. მეორე მხარე პირველი მხარის წინაშე უშუალოდ აგებს პასუხს ფართის ხარისხზე, შენობა-ნაგებობის პროექტთან და სტანდარტებთან შესრულებული სამუშაოს შესაბამისობაზე, დადგენილ ვადაში შესრულებაზე მიუხედავად იმისა, მშენებლობას უშუალოდ მეორე მხარე წარმართავს თუ მეორე მხარის მიერ შერჩეული მესამე პირი.

2. შენობა-ნაგებობა უნდა აშენდეს იმ მასალით, რომელსაც შეარჩევს მეორე მხარე შენობა-ნაგებობის პროექტის შესაბამისად. ამასთანავე, მეორე მხარე პასუხს აგებს უხარისხო სამშენებლო მასალების გამოყენებისათვის.

მუხლი 20. ფართების უფლებრივი და ნივთობრივი უნაკლობის შესახებ

1. მეორე მხარე ვალდებულია, პირველი მხარეს გადასცეს უფლებრივად უნაკლო ფართები. ფართების მიმართ არცერთ მესამე პირს არ უნდა ჰქონდეს რაიმე უფლება, ფართები არ უნდა იყოს დაყადაღებული და არ უნდა მიმდინარეობდეს დავა მასთან დაკავშირებით, ფართები არ უნდა იყოს გადაცემული მესამე პირისათვის სარგებლობის უფლებით, არ უნდა იყოს დატვირთული იპოთეკითა და ან სხვა ვალდებულებებით.

2. მეორე მხარე ვალდებულია, პირველი მხარეს გადასცეს ნივთობრივად უნაკლო ფართები: ფართები უნდა იყოს შეთანხმებული ხარისხის (შეთანხმებულ მდგომარეობამდე მიყვანილი), ხოლო შესრულებული სამუშაოები უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ/აღიარებულ სტანდარტებს.

3. ფართების უფლებრივი ან ნივთობრივი ნაკლის აღმოჩენის შედეგები განისაზღვრება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 21. ვალდებულებათა გაქვითვის შესახებ

1. წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე და მესამე პუნქტების შესაბამისად ხდება მხარეთა ურთიერთვალდებულებათა გაქვითვა ამ მუხლის მომდევნო პუნქტით დადგენილი წესით, ამასთან მხარეები აცხადებენ რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე მეორე მხარემ პირველ მხარეს წინამდებარე ნასყიდობის ფარგლებში ავანსის სახით გადაუხადა ნასყიდობის საფასურის ნაწილი 15000 (თხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში და ხელშეკრულების დადების მომენტში გადაუხდის 161000 (ასსამოცდაერთი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში

2. წინამდებარე ხელშეკრულების ამოქმედების მომენტიდანვე ითვლება, რომ:

ა) მეორე მხარემ პირველ მხარეს სრულად გადაუხადა უძრავი ქონების ნასყიდობის ფასი;

ბ) პირველმა მხარემ მეორე მხარეს ავანსის სახით სრულად გადაუხადა შესასყიდი (ასაშენებელი) არასაცხოვრებელი ფასი.

3. ფულადი ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის შედეგად მეორე მხარეს პირველი მხარის მიმართ შესასრულებელი რჩება შემდეგი ვალდებულება: ბინებისა და კომერციული ფართის აშენება შეთანხმებულ ვადასა და შეთანხმებული ხარისხით, ექსპლუატაციაში მიღება და მათი გადაცემა საკუთრებაში პირველი მხარისათვის.

4. ამ მუხლის წინა პუნქტებიდან გამომდინარე, პირველ მხარეს მეორე მხარის მიმართ არ ეკისრება რაიმე ვალდებულების შესრულება, ხოლო მეორე მხარეს ეკისრება ამ მუხლის წინა პუნქტში მითითებული ვალდებულების შესრულება

მუხლი 22. ხელშეკრულების ამოქმედების შესახებ

1. ეს ხელშეკრულება ძალმოსილებას იძენს მხარეთა ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მხარეთა ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

2. ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა არ ნიშნავს ხელშეკრულების იმ მუხლების გაუქმებას, რომლითაც დადგენილია მხარეთა პასუხისმგებლობა.

მუხლი 23. პირველი მხარის ჩანაცვლების შესახებ

1. ამ მუხლის წინა პუნქტით დადგენილ შემთხვევაში წინამდებარე აქტით დადგენილი პირობები უცვლელი რჩება.

მუხლი 24. ფორსმაჟორისა და დავის განხილვის წესის შესახებ

1. მხარეთა პასუხისმგებლობას გამორიცხავს ფორს-მაჟორული გარემოებებით გამოწვეული ვალდებულებათა შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება. ფორს-მაჟორულ გარემოებად ითვლება ომი, სტიქიური უბედურება, მეტეოროლოგიური პირობები, ხანძარი, მასობრივი არეულობა, რომელიც ზღუდავს ან აბრკოლებს ვალდებულებათა შესრულებას, აგრეთვე ხელისუფლების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები, რომლებიც ზღუდავს ან აბრკოლებს ვალდებულებათა შესრულებას.
2. თუ ფორს-მაჟორულ გარემოებებს აქვთ დროებითი ხასიათი, მათზე მითითება დაიშვება მხოლოდ იმ პერიოდში, როცა ისინი გავლენას ახდენდნენ მხარეთა ვალდებულებების შესრულებაზე.
3. თითოეული მხარე ვალდებულია ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს.
4. მხარეებს უფლება აქვთ, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ურთიერთშეთანხმებით გადასინჯონ ამ ხელშეკრულების პირობები.
5. ამ მუხლის წინა პუნქტებით დადგენილი ნორმები არ გამორიცხავს მხარეთა მიერ ვალდებულებათა შესრულებას ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას.
6. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ დავას განიხილავს სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებაც, მხარეთა შეთანხმებით, ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას, თუ ამას მოითხოვს კრედიტორი მხარე.
7. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა, დაინტერესებულ მხარეს არ ართმევს უფლებას, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ იგი არ არის უფლებამოსილი, მოწინააღმდეგე საპროცესო მხარისაგან მოითხოვოს მომავალში შესაძლო ვალდებულების წინასწარი უზრუნველყოფა.

მუხლი 25. დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა არის კონფიდენციალური. აკრძალულია რომელიმე მხარის მიერ ამ პირობების გამჟღავნება მესამე პირისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ამ ვალდებულების დარღვევით მიყენებული ზიანი ექვემდებარება სრულ ანაზღაურებას.
2. გაუქმდეს ამ ხელშეკრულებამდე არსებული ყველა შეთანხმება მხარეებს შორის.

მუხლი 26. ხარჯების, აქტის ძალმოსილებისა და დანართების შესახებ

1. ნასყიდობის საგნის მესაკუთრედ რეგისტრაციის და წინამდებარე ხელშეკრულების და მისგან გამომდინარე ხარჯებს იხდის მეორე მხარე.
2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგა 3 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე და გადაეცემა მხარეებს, ერთი კი რჩება საჯარო რეესტრში.

პირველი მხარე:

შპს "ეკო დეველოპმენტი" (ს/ნ 405231208, რეგისტრირებული ქ. თბილისი ვაკე საბურთალოს რაიონი დასახლება დიდი დიღომი, ფარნავაზ მეფის გამზირი, I და II მიკრორაიონის მიმდებარედ) წარმოდგენილი მისი დირექტორით ანა ომიაძის სახით (პ/ნ 01009017329)

მეორე მხარე:

შპს „ნიუ ბრენდ" (ს/ნ 400170907, რეგისტრირებული ქ. თბილისი ხუდადოვის 83) წარმოდგენილი მისი დირექტორით ლევან აგლაძის სახით (პ/ნ 01030017278)

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200729074
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	21.09.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მათუაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 38 36 32 591 70 99 74
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	20692479273520

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცი წლის ოცდაერთ სექტემბერს, მე, საქართველოს ნოტარიუს ნინო მათუაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #10, პირველი სართული, მომმართეს ლევან აგლაძემ (დაბადებული 27.07.1976წ, პირადი ნომერი: 01030017278, მისამართი: ქალაქი თბილისი, ნ.ხუდადოვის ქ. 83) და ხვიჩა სებისკვერაძემ (დაბადებული 30.09.1977წ, პირადი ნომერი: 60002007235, მისამართი: ქუთაისი, ცხინვალის ქ. 10, ბ. 21). მათ წარმოადგინეს უძრავი ქონების ნასყიდობისა და წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ (უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემისა და სანაცვლოდ ახლადაშენებული უძრავი ქონების (კომერციული ფართი) გადაცემის შესახებ) და მოითხოვეს მასზე თავისი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობებით და სსიპ სსგს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად აღნიშნულმა პირებმა მომმართეს. მე შევამოწმე მხარეთა ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, განვუმარტე მხარეებს, რომ ვამოწმებ მხოლოდ მათი ხელმოწერის ნამდვილობას, იმ ფაქტს, რომ წარმოდგენილ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა შესრულებულია ზემოთ მითითებულ პირთა მიერ, და არა მასში მოყვანილი ფაქტების უტყუარობას და ნამდვლობას, შესაბამისად მის შინაარსა და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ ვაგებ. ამ განმარტების შემდეგ, მათ განაცხადეს, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოწერეს ხელი მას, რასაც ვამოწმებ. უძრავი ქონების ნასყიდობის და წინარე ნასყიდობის ხელშეკრულები შესახებ (უძრავი ქონების საკუთრწებაში გადაცემისა და სანაცვლოდ ახლადაშენებული უძრავი ქონების (კომერციული ფართი) გადაცემის შესახებ) ხელშეკრულება ხელმოწერილია შვიდ გვერდზე.

სულ გადახდილია ნოტარიუსის საზღაური სამი ეგზ.: ოთხმოცდაოთხი ლარი; თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 507-ე დადგენილების“ (29 დეკემბერი 2011 წ) 31-ე მუხლისა + 15.12 ლარი (დღგ) თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის + 2,00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური საქართველოს მთავრობის 507-ე დადგენილების 39.1 მუხლისა;

ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი